ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3728842

ნომერი: AR1562972

თარიღი : 06.12.2017

გაცემის თარიღი : 13.12.2017

გაცნობის თარიღი : 13.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი აგლაძის ქ.#47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ იაგორაშვილი პ/ნ 01017001188
- თბილისი დ.ჭონქაძის ქ. N 19/9

ნომენკლატურა :

- მიშენებული - დაშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : მასალების მაღაზია

ინტერაქტიულ რუკაზე არ არის განსაზღვრული ობიექტის კონკრეტული, ზუსტი ადგილმდებარეობა და არ არის ასევე წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი. მაშასადამე გაურკვეველია რის ლეგალიზებას ითხოვს განმცხადებელი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2014 წლის 12 დეკემბრის#17-51 დადგენილების მე-4 მუხლის მე-4

და მე-5 პუნქტების თანახმად, „თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის“ და „თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული. სამსახური უფლებამოსილია განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ცალკე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოსცეს.“

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 10 დღის ვადაში ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვროს ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობა და დამატებით წარმოადგინოს:
ა) სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტის არქიტექტურული პროექტი (გეგმა, ფასადები, ჭრილები - საკადასტრო საზღვრების დატანით);
ბ) სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტის მშენებლობის 2007 წლის 01 იანვრამდე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) იმ ფართის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელზედაც მოთხოვნილია მიშენების ლეგალიზება;
2. ზემოაღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩეს განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.